,,ᲙᲚᲓᲔ“

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

პარასკევი,
იანვრის 3.
(დეკემბრის 21).
1919 წელი.

№ 2.

ფასი 50 კაპ.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ
ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ,,ᲙᲚᲓᲔ“

—— დამოუკიდებელი ——
ნაციონალ-დემოკრატიული
პარტიის მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა

გამოდის **გრიგოლ ვეშაპელის** რედაქციით

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

კონტორაში, **ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5**

რედაქტორის ტელეფონი № 22.

საქართველოს სახ. წიგნთსაცავი
ფასი 50
№ 29

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

რ. გაბაშვილი. სამარცხვინო ზავი.—
გ. ვეშაპელის სიტყვა პარლამენტში ,,ჯამალიანის შესახებ“.
ბ. გამსახურდია. აგრარული რეფორმისათვის.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

ახალ წლის ღამეს, 12 საათზე საქართველოს მთავრობის ბრძანებით სამხედრო მოქმედება შესწყდა დროებითი ზავი ჩამოვარდა.—

ბერლინი ლიბკნეხტმა ჩაიგდო ხელში და თავისი მთავრობა შეადგინა.

(უკანასკნელი ცნობები მესამე გვერდზეა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

მოიწვევს მოხალისეებს

მამულის შვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, (სასახლის ქუჩა, ქართული თეატრის ეზო, სადაც დროებით არის მოთავსებული კანცელარია). იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი
ლეო კერესელიძე.

ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ.

საქართველოს შვილნო!

დაეხმარეთ იმათ, ვინც დაუზოგავად სწირავს სამშობლოს ჯანსა და ნორჩ სიცოცხლეს! ქვეყნის საკეთილოდ გამოიღეთ წვლილი. გადასდევით თქვენი თვიური შემოსავალის ნაწილი! ყოველ ჟამს გახსოვდეთ, რომ თქვენი მშვიდობიანი არსებობის გულისათვის სისხლს ღვრიან ჩვენი მამაცი მეომრები. შეუმსუბუქეთ მათ უწმინდესი და უმძიმესი ვალის შესრულება თქვენის თანგრძნობით! დაამზადეთ საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტისათვის შემოწირულება ფულად და ყოველგვარი ნივთით (საპონი, წუმწუმა, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო, ძაფი, სხვადასხვა სასმელი, ხმელი ხილი და სხვა).

შემოწირულება მიიღება საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში.

გოლოვინის და ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე № 24.

კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. გაბაშვილისა.**

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1919 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠ ᲒᲐᲖᲔᲗ ,,ᲙᲚᲓᲔ“-ᲖᲔ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ 3.

ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲖᲐᲕᲘ.

კიდევ ერთი მარცხი, კიდევ ერთი სირცხვილი! და არა იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვეძლო გამარჯვება, რომ ჩვენ არ შეგვწევდა ძალა; არა იმიტომ, რომ ობიექტიური პირობები უშლიდნენ ამას ხელს; არა იმიტომ რომ ინგლისი ჩაერია ჩვენს სუვერენულ საქმეებში, რადგან თვით ეს ჩარევა არის ჩვენი მარცხი,—გამოწვეული იმ უპასუხისმგებლო, თვითნებობის პოლიტიკით, რომელსაც იჩენენ ჩვენი მეთაურები.

მაშინ როდესაც ყოველ უმნიშვნელო საქმეში ვითომ ეკითხებიან პარლამენტს, დღეს, როცა დადგა უდიდესი საკითხი, ნამდვილი ეროვნული საკითხი, საკითხი ომისა და ზავისა, როდესაც მთელი ერი, დემოკრატია თუ არისტოკრატია, გაძარცული თავად-აზნაურობა, თუ „აშენებული“ მუშა და გლეხი—მთელი ხალხი გაიმსჭვალა ერთი აზრით და ერთი ნებისყოფით—რომ აღმოიფხვრას სამუდამოდ საფრთხე სომხეთისა—აი ამ მასის, უდიდესი მასის სურვილის წინააღმდეგ ჩვენ გვესმის ბრძანება: საომარ მოქმედება შეჩერებულიაო!

რატომ, რისთვის?!

ამ ომის მიზეზი მარტო სომხეთის ავანტიურა არ არის, ვინაიდან ავანტიურისა და საღი პოლიტიკის გარჩევა მხოლოდ შედეგებით შეიძლება: თუ გაიმარჯვე—იგი საღია, თუ დამარცხდი—ავანტიურა და ამ მხრივ ავანტიურაში ჩვენ ჩავებით, რადგან მოგებული და გამარჯვებული სომხეთი დარჩა ჩვენი მეთაურების შემცდარი ნაბიჯების გამო.

სიყალბე ჩვენი მდგომარეობისა იმაშია, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატია, რომელსაც თავი მოჰქონდა ქვეყნის იმპერიალიზმთან ბრძოლაში, სწორედ იქ გაჩერდა, საცა ნამდვილი ბრძოლაა საჭირო ქვეყნის იმპერიალიზმის უდიდეს გამომსახველთან. ამ მხრივ ბაქოს პროლეტარიატი და ბალშევიკები გაცილებით უფრო პირდაპირი და გულწრფელნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მყვირალა მენშევიკები. უებრო რაინდი ბ-ნი ირაკლი წერეთელი, რომელმაც მთავრობას პროტესტი გაუცხადა და თავზე კაკალი ამტვრია თავისი შეკითხვით, როცა 5—6 საწყალი ინგლისელი ჩამოიყვანეს თბილისში—დღეს, როდესაც ინგლისის ჯარის აფიცრები მოურიდებლად ერევიან ჩვენს საქმეში და ლახავენ ჩვენს სუვერენობას—იგი პირში წყალდაგუბებული სდუმს და მისი მებრძოლი სული, რომელიც ,,ებრძოდა უდიდეს მტერს—ქვეყნიერების იმპერიალისტებს“—ლაჩრულად განაბულა სწორედ მაშინ, როცა მომენტი დადგა ბრძოლისა.

და ამ უცნაურ მდგომარეობაში, მეტი რომ არ ვსთქვათ, თვალიდან არა გვცილდება სირცხვილეული სახელი ბ-ნ გეგეჭკორის, რომელიც სიმბოლოდ გადაიქცა ყოველგვარი მარცხისა. ჩვენი ძვირფასი ბათუმი მის ხელში დავკარგეთ, ჩვენი ,,მეგობრობა“ სომხებთან მისი ლაჩრული პოლიტიკით დაირღვა, ჩვენი ომი მის ხელშია წაგებული და, ჩვენა გვგონია, ეს საკმაო არის, რომ იგი არ გადასდგომოდა პოლიტიკურ სიდნიდისს და გასდგომოდა იმ გზას, რომელსაც მიმართა მისმა უფრო გამბედავმა თანამოგვარემ—საშა გეგეჭკორმა და წასულიყო იქით, საითაც არა ერთხელ მიუპყრია თვალი—სოვდეპიაში; და თან წაეყვანა თვისი უებრო თანამშრომელი უთვალავ მარცხისა—სოსიკო მდივანი.

ჩვენ არ გვესმის და არც პარლამენტარულ სახელმწიფოს შეეფერება, რომ საკითხი ომისა და ზავისა, უდიდესი საკითხი ერის ცხოვრებაში, სწყდებოდეს ხალხის წარმომადგენელთა დაუკითხავად და დღეს კი ეს მოხდა: პარლამენტმა არც კი იცოდა, ხალხს არც კი გაუგია, რომ ჩუმად, სადღაც კაბინეთში გადაწყდა მისი ბედი, მისი ომიც და ზავიც—ისევე, როგორც ეს სწყდებოდა ხოლმე იმპერიალისტურ ქვეყნებში. ეს არის დემოკრატიული რესპუბლიკობა?!

და ამ საშინელ მდგომარეობას იმითაც ვერ გავამართლებთ საუბედუროდ, რომ ,,გამარჯვებულთ არა სჯიანო“, რადგან ჩვენ გამარჯვებული არა ვართ და პასუხის მგებლობასაც არ

ვგრძნობთ: გეგეჭკორი ისევ მინისტრია, იმისდამიუხედავად რომ საქართველოში არ მოიძებნება მგონი ათი სოციალ-დემოკრატიც კი, რომ მის პოლიტიკას იზიარებდეს.

ნუ თუ ქართველ ერს მართლაც საბოლოოდ დაუკარგავს სირცხვილი და თუ სომხებს არა ჰბაძავს იმაში რომ სათავეში არ აყენებს ,,მაუზერების პარტიას'', როგორც სწორედ ახასიათებენ დაშნაკცაკანებს—იმას მაინც ითმენს, რომ ,,ავტომობილების პარტიას'' ანაცვალებს თავის სასიცოცხლო ინტერესებს? ჩვენა გვგონია, ,,უსაბუთოდ'', რასაკვირველია, რომ ავტომობილმა და სამინისტრო სავარძელმა არ უნდა ინაცვალოს ერი, მასსა, რომელიც დღეს იხოცება საზღვარზედ—საშობლოს დასაცავად.

ვაი სირცხვილო!

რ. გაბაშვილი.

შეკითხვა ჯამალიანის შესახებ.

გრიგოლ ვეშაპელის სიტყვა.*)

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა არის გამოწვეული იმ მოქმედებით, რომელსაც სჩადიოდა სომხეთის ელჩი ბ-ნი ჯამალიანი საქართველოს დედა ქალაქში. ჩვენ არ ვეკითხებით მთავრობას იმ საქმეების შესახებ, რომელიც გააკეთა ბ-მა ჯამალიანმა საქართველოში ომის წინ;

ეხლა ყველამ გაიგო, თუ როგორ ამზადებდა სომხეთი საქართველოზე თავდასხმას; ეხლა ყველამ იცის, თუ როგორ სწარმოებდა მობილიზაცია სასალდათო სომეხთა, რომელთაც ჯერ კიდევ ნოემბერში დაუგზავნეს სოფელ-სოფელ ინსტრუქციები და ინსტრუქტორები ლაშქარის მოსაწყობად;

ეხლა ყველამ გაიგო, თუ რას ნიშნავდა ,,საწყალ'' ლტოლვილების ხეტიალი საქართველოს ტერიტორიაზე; ბევრს ეგონა, რომ ლტოლვილები მხოლოდ იაფი პურის საძებნად მოდიოდენ, მაგრამ ეხლა ყველამ იცის, რომ ლტოლვილთა უმრავლესობა—მამაკაცობა სამობილიზაციო ლაშქარი იყო, რომელსაც ჩვენი ჯარის ზურგს უკან უნდა ემოქმედა ომის დაწყების შემდეგ, განსაკუთრებით თფილისის ასაჯანყებლად და ხელში ჩასაგდებათ.

ეხლა ისიც გაიგო ყველამ, თუ რას ნიშნავდა სომეხ დეპუტატების ფიცი ქართულ პარლამენტში: ,,საქართველოსთვის თავს დავდებთო''!

ყველამ გაიგო, თუ რა ჰქონდათ გულში სომეხ დეპუტატებს, როდესაც ისინი ქართველ სოციალ-დემოკრატებს აქებებდენ: დაჰკარით ნაციონალ-დემოკრატებს, მაგენია რესპუბლიკის მოღალატენი, სამაგიეროდ ჩვენ სომხის დემოკრატია, პირველ რიგში ვიქნებით ფრონტზე, როდესაც საქართველოს მტერის მოგერება იქნება საჭიროო?

ვიმეორებ, ეხლა ყველამ გაიგო, რომ ეს იყო მზადება ომისათვის, მზადება საქართველოს შინაურ და გარეშე დამარცხებისათვის და მზადება სომხეთის გამარჯვებისათვის ესე იგი, მზადება თფილისის წართმევისათვის!

და ყველაფერს ამას მეთაურობდა სომხეთის ელჩის ბ-ნ ჯამალიანის მადლიანი ხელი!

მაგრამ რაც ომამდის იყო, ის იყო! ომმა წაშალა ყველა ძველი ანგარიში. ომის შემდეგ დაიწყო ახალი ანგარიში, ახალი საქმე.

ეს საქმე იყო დიდი საქმე ომის წარმოებისა.

ჩვენ, ნაციონალისტებს კარგად გვესმის, თუ რა არის ომი და რა არის ბრძოლა მტრის მოსასპობად.

ჩვენს სოციალისტებს კი სხვანაირი, დემოკრატიული წარმოდგენა აქვთ ომზედაც და ზავზედაც; მათ ჯერაც ვერ უსწავლიათ ყველა იმ ზომების მიღება, ურომლისოთ ომი წინდაწინ წაგებულ საქმეთ ხდება!

ერთი ამ ზომათაგანი ყოფილა და არის ყოველთვის მეომარ სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაძევება სახელმწიფოს საზღვრებიდან. ეს გიმნაზიაში გავლილ ისტორიიდან ან და ენციკლოპედიიდან მაინც უნდა იცოდენ ჩვენმა მინისტრებმა;

ჩვენში კი რა მოხდა?—ომის დაწყების შემდეგ იმის მაგიერ, რომ ბ-ნი ჯამალიანი მთელი თავისი მისიის შტატით საგანგებო მატარებლით გაეგზავნათ საზღვარ-გარედ, ერევნის მიმართულებით,—იმის მაგიერ ბ-ნი ჯამალიანი რამოდენიმე დღე მშვიდობიანათ მუშაობდა თფილისში, მერმე იკადრა ვითომც წასვლა, მაგრამ ბათუმის მიმართულებით და მალე დაბრუნდა, ოღონდ მარტო კი არა, უცხოელების თანხლებით და თფილისში დაბრუნების შემდეგ კიდევ რამდენსამე დღე მუშაობდა აქ სომხურ საქმეებზე; მერმე კიდევ წავიდა საზღვარ-გარეთ, სხვა მიმართულებით და ეხლა

*) ნათქვამი პარლამენტში დეკემბრის 31.

აგრარული რეფორმისათვის.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ თავის კონფერენციაზე დაადგინა, რომ მიწები გლეხებს უნდა მიეყიდოს საკუთრებად. ამის შემდეგ პარლამენტმა მიიღო სოციალ-დემოკრატების ხმით სამკურნალო წყლების სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების კანონი- სამკურნალო წყლები და მის გარშემო ადგილები უნდა ჩამოერთვას მესაკუთრედ, მაგრამ სასყიდლის მიცემით.

ეს ორი ღირსშესანიშნავი ფაქტია. ერთის მხრივ ჩამორთმეული მიწების გაყიდვა და მეორეს მხრივ, ჩამორთმევა შესყიდვით. ნუთუ არ შეიძლება გაზოგადება ამ წესისა?

შეიძლება გვიპასუხონ, რომ ყველა ჩამორთმეულ მიწებს არ ვყიდითო. მართალია, მაგრამ განა გამოყიდულს ყიდიან? სრულებიდაც არა გამოყიდული სამკურნალო წყლები სამუდამოდ სახელმწიფო კუთვნილებად უნდა დარჩეს ჩვენი მთავრობის განზრახვით ტყეები და სხვა ამ გვარი ადგილები. რატომ არ შეიძლება რომ სახელმწიფომ ყველა ჩამორთმეულ ადგილებში სასყიდელი მისცეს მესაკუთრეს?

მე მგონია, რომ აქ ანგარიშის შიშია, და ეს არც ისე გასაკვირვია. მთელს რუსეთში ერთად ერთი ფინანსისტი იყო გერცენშტეინი და ისიც ურია.

და თუ რუსეთს არ ყავდა ფინანსისტი, ჩვენ ვინ მოგვცემდა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა პატარაა და ჩვენი საქმეც უფრო ადვილია მრავალ მხრივ: მაგალითად მემამულეები სრულებით არ ეწინააღმდეგებიან გამოყიდვას.

თუ გადასწყდა, რომ მიწები უნდა გაიყიდოს, მაშინ შვიდი დესიატინის ნორმა თავის თავად ისპობა, რადგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ სოციალ-დემოკრატიამ ამ გვარი დადგენილება მიიღო ძალა-უნებურად სახელმწიფოს ფინანსების დასახმარებლად. და თუ მყიდველთათვის უარყოფილი იქნება 7 დესიატინის ნორმა, მაშინ რა საბუთია, რომ მემამულეთათვის დაკანონდეს ეს ნორმა.

მემამულეთავის ნორმა უთუოდ გადიდებულ უნდა იქნეს.

ჩვენში მიწას არ ზომავენ დესიატინობით; ეს ზომა შეეფერება რუსეთის იმპერიას. ჩვენში კი ჩვენებური საზომია,—დღიური და ქცევა. ქუთაისის გუბერნიაში. მემამულეთ ნორმა 150 ქცევა არის და თბილისის გუბერნიაში 200 დღიური.

ზოგჯერ ეს ნორმაც გასადიდებელია, იქ სადაც ვინმეს მაღალ კულტურის ეკონომია აქვს და მისი მეურნეობისათვის ნორმაზე მეტი ადგილია საჭირო. საქართველოს თავად-აზნაურობა თუ ხალხის ბატონი, იყო მისი პატრონიც იყო და მისთვის არა დაუშავებია რა. პირიქით, საქართველოს მაღალ კულტურა მათი ნაღვაწია, და დღეს, როცა ისინი ისედაც დაქუცმაცებული და დაღარიბებული არიან, მათი გაძარცვა საშინელი ცოდვა იქნებოდა ისტორიის წინაშე.

ჩამორთმევისათვის კი არც სტატისტიკაა საჭირო და არც იმდენი კომისიები, რამდენსაც ინახავს სახელმწიფო, რომლის შენახვაც ისე ძვირად ჯდება, რომ სამინისტროს დღემდე ვერ გაუბედავს გამომჟღავნება.

საკმარისია დავენდოთ დეკლერაციის წესს. გამოსცეს მთავრობამ ბრძანება, რომ ყოველი მემამულე ვალდებულია გამოუცხადოს სათანადო სამინისტროს ან მის აგენტს, რამდენი მიწა-წყალი აქვს, და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, არც ერთი მემამულე ერთ კვალი მიწას არ გადამალავს. ამ დეკლარაციის წესით მთავრობა ჩაიბარებს ზედმეტ მიწებს, ხოლო მემამულეთ მისცემს სასყიდელს. აი ეს სასყიდელი აშინებს მთავრობას, მაგრამ საშინელია ის, რასაც ვერ ვიცნობთ. აქ საშინელი ის არის, რომ არ ვიცით რა ზომით დავაფასოთ გამოსაყიდი მიწები. მაგრამ განა ეს ისე ძნელია? ჩვენი მიწები უკვე შეფასებულია ყველა დარგისა, და შეფასებულია ნამდვილად ამ საქმისთვის, ესე იგი გლეხებისათვის გამოსაყიდათ, იმ კანონით, რომლითაც მოხდა დროებით ვალდებული გლეხებთა მიწების გამოყიდვა. იტყვიან, რომ ეს მეტად მცირე ფასია და ფულის კურსი დღეს მეტად დაცემულია. მართალია, მაგრამ გამოვიყიდოთ იმ ფულით, რა ფულითაც არის დაფასებული. კიდევ მიპასუხებენ, საიდან ვიშოვოთ ის ფული. სულ ადვილია. სახელმწიფო მიწების გამოსაყიდათ ერთს მანეთ ნაღდ ფულს არ გაიღებს, არამედ გამოსცემს სახელმწიფო 4% რენტას და იმ ფულში, რა ფულშიაც იყო მაშინ დაფასებული ჩვენი მიწები, ე. ი. რუსეთის მანეთებში და ოქროს ვალიუტაში. ამ შემთხვევაში ჩვენ ფულზე გადაანგარიშება დასჭირდება მხოლოდ სარგებელს და ეს ფინანსთა სამინისტროს არც ისე გაუჭირდება. ხოლო რაც შეეხება თვით რენტას, სახელმწიფოს აქვს უფლება თავის ნებაზე მოახდინოს გამოყიდვა ან კონვერსია, და ამ კონვერსიას მოახდენს მაშინ, როცა ამისთვის დადგება მარჯვე დრო; ეს მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვიცით, დაბრუნდება თუ არა იგი კიდევ ერთხელ და თუ დაბრუნდება ვისი მხლებლობით.

ჩვენ დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატებს ბ-ნ ჯამალიანის აქ ყოფნა ომის გამოცხადების შემდეგ მიგვაჩნია დიდ დანაშაულად, როცა ჩვენი ჯარი ფრონტზე იბრძვის და აქ მის ზურგს უკან სომხების ელჩი დიპლომატიურ მუშაობას აწარმოებს საქართველოს დასამარცხებლად, ეს წინდაწინ ომის წაგებას ნიშნავს!

მთავრობა ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ ჯამალიანის თფილისში ყოფნა უცხოელების ინგლის-ფრანგების ბრალი იყო; მოკავშირეთა წარმომადგენლებისაგან ჩვენს მთავრობას უნდა მოეთხოვა საერთაშორისო კანონებით ხელმძღვანელობა საქართველოს მიმართ. თუ ეს კანონები ილახებოდა ისე, როგორც ჩვენი სუვერენიტეტი, მთავრობა ვალდებული იყო განეცხადებია საჯაროდ საქვეყნოდ სასტიკი პროტესტი.

განა სოციალ-დემოკრატია არ იყო, რომ ასეთი პროტესტი განაცხადებია მთავრობას ოსმალებმა რომ საქართველოს ნეიტრალიტეტის დარღვევა მოინდომეს და ტყვე ინგლისელები ჩამოიყვანეს თფილისში?

რატომ არ გაისმა ასეთი პროტესტი, როდესაც ფრანგებმა და ინგლისელებმა საერთაშორისო კანონები დაარღვიეს და მეომარი სომხეთის ელჩი საქართველოს დედა ქალაქში გააჩერეს?

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მთავრობამ დღეს მაინც დაგვის ეს ფაქტი.

დება მაშინ, როცა მსოფლიო დაწყნარდება და ფინანსიური რყევა შესწყდება.

გამოსყიდულ მიწებს მთავრობა მიყიდის სოფლელ მუშა ხალხს, რომელსაც დღეს აუარებელი ფული აქვს და არ იცის, რა მოუხერხოს, და მიყიდოს იმ ფასებში, რა ფასებიც არის ნამდვილად დღეს მიწაზე. ეს ფასი დიდია, და მთავრობა მოაგროვებს დიდ ძალ ფულს ხოლო თვითონ თითქმის არაფერს არ დახარჯავს.

ძარცვა-გლეჯის დაკანონება არ გვეკადრება. ბოდიშს ვიხდი მკაცრი ტერმინისათვის, მაგრამ სხვა სახელწოდება მე ვერ გამომიგონია. სოციალიზმით ვერ ვიხელმძღვანელებთ, რადგან ერთის წართმევა და მეორეზედ მიყიდვა სოციალისტური ზომა არის, მაგრამ ამას რომ არ გამოუდგეთ, თვით სოციალიზმიც, მარქსის რასაკვირველია, ევროპის მეცნიერების წარმონაშობია და ამ მეცნიერებას კი კერძო საკუთრება ჯერ არ უარუყვია. ჩვენი სვე ბედი კი ევროპის ხელთაა და ამათთან ცოტა მორიდება გვმართებს. ევროპაში ჯერ ლენდლორდებით არ გაწყვეტილან. ზოგჯერ საფრანგეთის რევოლუციას ფიცულობენ მიწის ჩამორთმევის მოარშიყენი, მაშინ მოახდინეს მიწების კონფისკაციაო. მაგრამ ეს საბუთად ვერ გამოდგება: რევოლუციამ წაართვა მამულები იმ ემიგრანტებს, რომლებმაც სამშობლოს უღალატეს და მის მტრებთაგან ერთად იბრძოდენ საფრანგეთის წინააღმდეგ. იქ დასაჯეს დამნაშავენი, ხოლო ქართველ-თავად-აზნაურობას არა დაუშავებია რა იმის მეტი, რომ უბინადრო ეროვნულ საბჭოს ბინა მიუჩინა, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ამ საბჭოსი სოციალისტებისაგან შესდგებოდა.

ბ. გამსახურდია.

ბ-ნ ნ. რამიშვილის საპასუხოდ.

ბ-მა შინაგან საქმეთა მინისტრმა აღიარა სამართლიანობა ჩვენი შეკითხვისა, იმდენათ რამდენათ იგი შეეხებოდა ბ-ნ ჯამალიანის უკანონო ყოფნას თფილისში ომის გამოცხადების შემდეგ.

მაგრამ ბ-მა შინაგან საქმეთა მინისტრმა მოინდომა სომხების ადვოკატობაც და სომეხ დეპუტატებს დაასწრო თავისი თავისა და განსაკუთრებით ლტოლვილთა გამართლებაში.

ამაზე მე მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ დღეს სომეხ ლტოლვილთა საქმეს თვით ქართველი ხალხი მიხვდა: დღეს კახეთისა და ქართლის გლეხობა თვითონ სწმენდს თავის სოფელს სომხებისაგან და აწი ვერავითარი სოციალ-დემოკრატიული დარიგებანი ველარ გაჩერებს გაწმენდის საქმეს.

საერთოდ ქართველი ხალხი უკვე მიეჩვია ეროვნულ პოლიტიკურ საკითხების გარდაწყვეტას; და ის კითხვა, რომელიც ასე ხშირად ებადებათ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს, ამა თუ იმ ,,მოულოდნელი'' ამბების დროს, კითხვა ,,რაშია საქმე'', ხალხმა უკვე გაიგო.

ამიტომ ჩვენ სრულებით არ გვეშინია იმ დემაგოგიის, რომელსაც მიმართა ბ-მა მინისტრმა: ,,თქვენი შეკითხვები ფრონტის გამაგრებას უშლის ხელსო''?

მაგრამ შეიძლება, ბ. რამიშვილს და მის ამხანაგ მინისტრებს გარდაწყვეტილი აქვთ ისეთი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა, რომელნიც ფრონტს კიდეც დაშლის და კიდეც გააუქმებს... შეიძლება ბ-ნი რამიშვილი წინდაწინ ეძებო თუ ვის დააბრალოს პასუხის გება ერის წინაშე ამ საქმეში?

გარწმუნებთ, რომ თუ ეს ასე მოხდა ფრონტი მთავრობის საქმიანობით გაუქმდა და და ჩვენს ჯარს ხელი შეუშალეს ბუნებრივი მთიანი საზღვრის მოპოვებაში სომხეთთან, მაშინ პასუხისგებას ვერას გზით ვერ მოიშორებთ თავიდან და მაშინ მართლაც ყველა გაიგებს, თუ ,,რაშია საქმე'' და ამის შედეგებს თქვენც დაინახავთ!

ომი სომხებთან

სომხების მოსვლა ზღვით.

გერმანიიდან დაბრუნებული სომეხი-სამხედრო ტყვეები, რიცხვით 800 კაცი, რომელნიც ქალაქში ჩამოვიდენ, ქალაქმა არ მიიღო, სომხები გემითვე გაემგზავრენ ბათუმში, სადაც დიდი დავიდარაბის შემდეგ მიუღიათ ინგლისელებს.

ქართველი ტყვეები ერევანში.

ერევნიდან ადერბეიჯანით ამ დღეებში ჩამოსულ მაჰმადიანის სიტყვით ქართველ სამხედრო ტყვეების ჩაყვანა სომხებს ზურნით უდღესასწაულიათ.

მთავარ შტაბის ცნობა.

ბოლნის ხაჩინის აღება

1 იანვარი. გუშინ, შვიდის 1-ელ საათზე ორჯერ მრავალ რიცხოვან მტერთან შეუბოვარ აძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფელი ბოლნის ხაჩინი. დამმრცხებულმა მტერი ეოველ მხარეზე გაიფანტა. გარდა ტყვეებისა ხელთ ვიგდეთ 4 ტყვიასმფრქვეველი, მრავალი ზარბაზანის ყუმბარა, ვაზნები და საზიდელები.

— —

უკანასკნელი ცნობები.

თფილისში ჩამოვიდა სომხების სამხედრო დელეგაცია კორდანოვის მეთაურობით.

როგორც ხმები დადის სომხების ჯარს არ შეუსრულებია დროებითი ზავის პირობა ძველ ფრონტზე უკან დახევის შესახებ.

მოსალოდნელია ომის გაგრძელება.

გენერალი ტომსონი გადაუგზავნიათ მოკავშირეებს, მის მაგიერ გენ. მილდი დაუნიშნავთ.

ომის შეჩერება.

საქართველოს მთავრობის გარდაწყვეტილების თანახმად გუშინ 31 დეკემბერს, ჩვენი ჯარების სარდალმა ტელეგრამმა გაგზავნა, რათა იმავე დამის 12 საათზე ყოველი სომარი მოქმედება და გაქცეული მტრის დევნა შეწყვეტილი იქნას.

— —

2 იანვრის ცნობა.

გუშინდელი დღის განმავლობაში დროებითი ზავის დარღვევის შემთხვევა არა ყოფილა.

მაჰმადიანი ქართველობა სომხეთის წინააღმდეგ!

(სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის მოწოდება.)

,,სამუსლიმანო საქართველოს შვილებო! ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ როგორც ჩვენი ერთმორწმუნე კავკასიის მთელი მუსულმანობა, აგრეთვე ჩვენი ერთ სისხლ-ხორცის ძმები, ქრისტიანი ქართველები, დიდი ხანია ცთილობდენ სომხებსა და ჩვენ შორის შექმნილი სადავო საკითხები მეზობლურად გაერჩიათ და ამით მთელი კავკასიის ერებს შორის დაემყარებიათ კეთილ-განწყობილება და სიყვარული, მაგრამ დღევანდელმა სომხის მთავრობამ, რომელიც არ შესდგება სომხის ინტერესების დამცველ ჭეშმარიტ დემოკრატებისაგან, თანაგრძნობით არ მიეგება კავკასიის ერებს შორის დასამყარებელ საკეთილ-დღეო საქმეს და მიზნად დაისახა ცეცხლითა და მახვილით სისრულეში მოეყვანა თვისი განზრახვა და ბრძანება მისცა თავის ჯარს გადაელახა საქართველოს საზღვრები ესე იგი საეუსლიმანო და საქრისტიანო, და შურის ძიებით გამსჭვალული სომხის არა დემოკრატიული ჯარის ნაწილები, ნამერდულად--მუხანათურად თავს ეცემიან, როგორც ჩვენ ერთ-მორწმუნე ძმებს მუსლიმანებს, ისე ჩვენ ღვიძლს ძმებს ქრისტიან ქართველებს. ვერაგულად ეპყრობიან დიდს და პატარას, ასახიჩრებენ ყველას ვისაც კი ხელში ჩაიგდებენ.

ასეთი სასტიკი, ველური საშუალებათა ხმარებით განზრახული აქვთ დაიპყრონ მთელი ბორჩალოს მაზრა, ახალ-ქალაქი, ახალ-ციხე და სხვა კიდევ ვინ იცის, რომელი ჩვენი ქვეყნის კუთხეები. და ხომ იცით, როცა სომხის ავაზაკი და არა დემოკრატიული ჯარის ნაწილები გამოილაშქრებენ ჩვენზე, რა უბედურებანი თავს დაგვატყდება?!. ოჯახს გაგვინადგურებენ, ნამუსს აგვხდიან, აგვყრიან და საშვილიშვილოდ სულ ერთიანად მოგვსპობენ. გაბრთხი-

ლებთ მამულიშვილებო! დაგვიდგა ყოფნა არ ყოფნის დრო, ეხლა უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ოჯახი, ჩვენი ნამუსი და ჩვენი სახლ-კარი. სწორედ ეხლა უნდა ავიღოთ ხელში იარაღი და ამოუდგეთ გვერდში სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენს თანამემამულეთ ქრისტიან ქართველებს, რომლებიც უკვე პირნათლად ასრულებენ სამშობლოს მიერ დაკისრებულ წმინდა მოვალეობას და სდევნიან მუხანათურად შემოსეულ ავაზაკებს. და ჩვენც მათთან ერთად უნდა მივიღოთ მონაწილეობა სამშობლოს და თავის დაცვის საქმეში და ვაცნობოთ მტრებს მათი საზღვრები. უკუ ვაგდოთ ისინი და დავამყაროთ კავკასიის ერებს შორის სოლიდარობა და კეთილ განწყობილება. აბა მამულიშვილებო! დავეშუროთ სამშობლოს, ოჯახის, ნამუსის და სახლ-კარის დასაცავად!''

კომიტეტის თავჯდომარე
მემედ-ბეგ სანჯაყ-ბეგის შვილი აბაშიძე.
მდივანი სულეიმან ეფენდი დიასამიძე.

საქართველოს ამბები.

პურის მოსვლა ფოთში.

ფოთი. 1 იანვარი. (საკ. კორესპონდენტისაგან) ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მიიღო ოდესიდან რამოდენიმე ვაგონი პურის ფქვილი, იქიდანვე მოელიან ამ დღეებში რამდენიმე ვაგონ ფქვილს, შაქარს და სხვა სანოვაგეს.

ინგლისელების გემები ფოთში

ნავთსადგურში სდგას ინგლისელების ტრალელი და ნაღმოსანი ,,ფორესტი''. ხვალ გავა გემი გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშელონით.

სპარსეთას მინისტრი ე. გეგეჭკორთან.

გუშინ ნაშუადღევის პირველ საათზე სასახლეში სადარბაზიით იყო პარიზისკენ, სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი მირზა-ალი გული-ნან მუშავირულ მამალიკი. სტუმარი მიიღო ე. გეგეჭკორმა, რომელთან მუსაიფის დროს ბ-ნმა მინისტრმა მადლობა განაცხადა იმ პატივისცემის შესახებ, რომელიც მას აღმოუჩინეს საქართველოში.—მართალია ახლა რამოდენიმე საათით მიხდება თფილისში გაჩერება, მაგრამ იმედი მაქვს უკან დაბრუნების დროს ერთად ვიდღესასწაულებთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასო, განაცხადა სტუმარმა.

მოძრაობის აღდგენა ბათუმთან.

საგარეო საქმეთა მინისტრს მოლაპარაკება აქვს გამართული ბრიტანიის სამხედრო წარმომადგენელთან თფილისსა და ბათუმს შორის რკინის გზისა და ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირი კავშირის აღდგენის შესახებ.

ტყვეების ჩამოსვლა ავსტრიიდან.

ამ დღეებში ჩამოვიდა ავსტრიაში მყოფი 1200 ქართველი სამხედრო ტყვე, რომელთაც გზაში აუწერელი გაჭირვება განუცდიათ. საქართველოს ადესელ კონსულს მათთვის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია. მათ შორის ბევრი ყოფილა გადამდები სენიანი, რის გამოც ფოთში მათ გემიდან არ უშვებენ. მათ ჩამოყოლიათ 300 სომეხი, რომელნიც დაუპატიმრებიათ, როგორც საქართველოს სამხედრო ტყვეები.

საქართველოს პარლამენტის

დღევანდელი წესრიგი.

1. საბოლოო ტექსტი კანონებისა.
2. დამატება დამფუძნებელ კრების არჩევნების დებულებისა.
3. დამფუძნებელ კრების არჩევნების დღის დანიშვნა.
4. გაგრძელება მსჯელობისა სომეხთა წარმომადგენლების მთავრობისადმი შეკითხვის გამო სომეხთა დაპატიმრებისა და გაჩხრეკის შესახებ.

უცხოეთის ამბები

ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

ტანკები და ,,შუქები'' ნოვოროსიიკში.

ფოთი, 1 იანვარი. (საკუთარ კორესპ.). ნოვოროსიისკიდან ჩამოსულები იუწყებიან, რომ იქ მოკავშირეებს ჩამოუტანიათ პირველი სამხედრო მასალისა და სხვათა შორის ტანკები და ,,შუქები''-ც. ,,შუქების'' ხმარებას ჯერ ერიდებიან რომ მშვიდობიანი მცხოვრებნი არ დააზარალონ, რაც აუცილებლათ მოხდება თუ ისინი საქმეში გაუშვეს.

მოკავშირენი უუბანსა და უკრაინაში.

მოკავშირეთა პოზიცია ყუბანის რადასა და დენიკინის შტაბთან იმყოფება და მერყეობისა და გამორკვევის ხანაში არის. ნიშნებია, რომ მოკავშირენი შესაძლებელია მიემხრენ ყუბანის რადას, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას ეყრდნობა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: მოკავშირენი უცდიან, რომელი მიმართულება გაიმარჯვებს უკრაინაში, რესპუბლიკანური თუ მოხალისეთა ჯარი. მოკავშირეების პეტლიურასთან დამოკიდებულებას დაცდის ხასიათი აქვს: თუ პეტლიურას ჯარში ბოლშევიზმმა იფეთქა მოკავშირენი გამოვლენ პეტლიურას წინააღმდეგ თუ არა ნეტრალიტეტს დაიცავენ უკრაინის შინაურ ბრძოლაში ბოლომდის.

ბაქოს გაფიცვა ინგლისის წინააღმდეგ.

ბაქოში 24 დეკემბერს დილის 10 ს. დაიწყო საერთო გაფიცვა მუშებისა. ,,ბაქოს გაფიცვის კომიტეტის უწყებები'' შემდეგ ნაირად გადმოგვცემს გაფიცვის მიზეზებს: ,,გაფიცვას წინ უძღოდა მუშათა კონფერენცია, საცა დადგენილ იქნა 24 დეკემბერს გამოეცხადებინათ გაფიცვა. გაფიცვის მიზეზი იყო ის პოლიტიკა მოკავშირეთა სარდლობისა, რომელსაც ანხორციელებდა გენერალ ტომსონი. [illegible] ქვეითი კოკერელი [illegible] ღებინათ ბაქოს მუშების 5 ხელმძღვანელი [illegible] დერი და უპირებდენ მათ ინდოეთში გა[illegible] ხლებას. ეს ლიდერები იყვნენ: საკიანი, ი[illegible] შტერნი, აბრამ ველუნცი, ალექსანდრე ა[illegible] ლიანი და ვიტოლი. ბაქოს მუშებისაგან [illegible] დელეგაცია ტომსონთან, რომელმაც მოი[illegible] მათი ხელმძღვანელების 'განთავისუფლება, [illegible] რამ ტომსონმა ორჭოფული პასუხი გასცა [illegible] დაჰპირდა, რომ 6 იანვრამდე გამოძიება მა[illegible] სახებ დამთავრდებოდა და უთხრა, რომ [illegible] ცადათ გამოძიების შედეგამდე. ტომსონი [illegible] ლობდა ბანზე სიტყვა აეგდო და ჰპირდებ[illegible] რომ მალე მოწესრიგდებოდა სასურსათო კ[illegible] რომ ისინი შემოიტანდენ ფეხსაცმელებს, [illegible] ფაქტურას და სხვას და, რომ ამ საქ[illegible] საჭირო იყო ბაქოს მუშათა კლასის დახმ[illegible] რაც შეეხება იმ 5 პირის დაკავებას, მათ[illegible] ლიაცია საჭიროა თვით მუშებისთვისო. ა[illegible] რკვეველი პასუხით წარუდგა დელეგაც[illegible] დეკემბერს კონფერენციას. ყველანი მოი[illegible] დნენ, რომ მუშებს მიემართათ ერთად[illegible] მჭრელ იარაღისთვის პოლიტიკურ გაფი[illegible] თვის. თუმცა კონფერენციას ბევრი საეჭ[illegible] რები დაესწრნენ, მაგრამ იგი დახურულ კ[illegible] არ ჩაუტარებიათ.

ერთმა ორატორმა სთქვა, რომ დ[illegible] ლამ გაიგოს, რომ ჩვენ არ გვეშინოდა [illegible] თის თვითმპყრობელობის და ვერც ინ[illegible] სარდლობის თვითმართველობა შეგვაშ[illegible] კონფერენციაზე ორატორები მოითხო[illegible] რომ გაფიცვა დაწყებულიყო და გაგრძ[illegible] ლიყო მანამდე, სანამ მათი გამარჯვებ[illegible] დამთავრდებოდა. ორატორები ამბობდნ[illegible] ისინი უთავოთ ვერ გამოდგებოდნენ და[illegible] სის სარდლობა კი სცდილობდა მათი თა[illegible] ჭრას. ამბობდნენ, რომ მოკავშირენი ჯ[illegible] ყვრის სახელით მოვიდნენ და შემდეგ [illegible] მტრებათ გადაიქცნენო, რომ ისინი თ[illegible] ლებას ვერვის დაანებებდნენ და სხვ. [illegible] აღნიშნავდნენ, რომ ინგლისელებმა [illegible] თვითმპყრობელობის სატრაპების ძალ[illegible] და თვითნებობაო. გადაწყდა გაფიცვა [illegible] ხადებინათ. აირჩიეს გაფიცვის კომიტე[illegible] რე დღეს კომიტეტმა გამოუშვა მოწოდ[illegible] ცა ეწერა: ამხანაგებო! ჩვენი ორგანიზ[illegible] პოლიტიკური გაფიცვით ჩვენ, რათა[illegible] დაგვიჯდეს ეს, უნდა მივაღწიოთ [illegible] 1) დაუყონებლივი განთავისუფლება შ[illegible] ლი ამხანაგებისა, 2) სრული თავ[illegible] კრებების, სიტყვის, პრესის, ორგან[illegible] და პიროვნების ხელშეუხლებლობა. ჩ[illegible] ყობინებთ მოკავშირეთა დემოკრატიას[illegible] სჩადიან ბაქოში მათი სახელით და მ[illegible] მათ, გავლენა იქონიონ და ალაგმონ [illegible] რობელური მეთოდები ინგლისის სა[illegible] სხვადასხვა ადგილებში რომ აწარმოე[illegible]

სამი დღის შემდეგ, 27 დეკემ[illegible] ლიტიკური გაფიცვა დამთავრდა მუშ[illegible] ლი გამარჯვებით. გენერალმა ტომს[illegible] კმაყოფილა მათი მოთხოვნილებანი.